# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

**20** მარტი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 50 (10 463) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


რეფერენდუმის წინ

## 500 ათასი კაცის ნება

**სპორტსაზოგადოება** „შევარდენის“ თბილისის საქალაქო საბჭო დედაქალაქში ნახევარ მილიონ წევრს ითვლის. საბჭოს მუშაკებმა, სპორტსმენებმა და ფიზკულტურელებმა, საზოგადოების ყველა წევრმა, რომელთა შორის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან, ბოიკოტი გამოუცხადეს 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმს. სამაგიეროდ, ყველანი მზად ვართ ერთსულოვნად მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნულ რეფერენდუმში 31 მარტს და მხარს დავუჭეროთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას.

**ნანა ბალაშვილი,**
სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

## ლიდერები აგროვებენ ქულებს

**გაიმართა** კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. „ა“ ჯგუფში ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო ტალინის „კალევისა“ და კიევის „ბუდიველნიკის“ ორთაბრძოლა, რომელიც ესტონელებმა შინ 1 ქულის სხვაობით მოიგეს — 83:82 (42:40).

ალმა-ათის არმიელებმა აჯობეს მოსკოვის „დინამოს“ 98:92 (53:50), ლუგანსკის „სპარტაკმა“ კი ნიკოლაევის ნკი დაამარცხა 82:77 (41:43).

„ბ“ ჯგუფის გუნდების მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა) 97:92, „იმპულსი“ (კრასნოდარი) — ასკ (რიგა) 104:90, „შახტიორი“ (დონეცკი) — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 91:86, „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი) — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 95:70, „იმპულსი“ — რტი (მინსკი) 84:91, „შახტიორი“ (დონეცკი) — „სტროიტელი“ (ირკუტსკი) 86:79, „კრასნი კოტელშჩიკი“ — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 77:66, „დინამო“ (ფრუნზე) — „ავტოდოროჟნიკი“ (სარატოვი) 88:98.



### გათამაშების ცხრილები

„ა“ ჯგუფი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპარტ.“ (ლენინგრ.) | 13 | 5 | 31 |
| ვეფ (რიგა) | 13 | 5 | 31 |
| ასკ (ალმა-ათა) | 13 | 5 | 31 |
| „ბუდ.“ (კიევი) | 12 | 7 | 31 |
| „სტროიტ.“ (სამარა) | 8 | 16 | 28 |
| ცსკა | 9 | 9 | 27 |
| „დინ.“ (მოსკოვი) | 10 | 6 | 26 |
| „სპარტ.“ (ლუგანსკი) | 7 | 12 | 26 |
| „კალევი“ (ტალინი) | 11 | 3 | 25 |
| ასკ (კიევი) | 7 | 11 | 25 |
| ნკი (ნიკოლაევი) | 5 | 14 | 24 |
| „უზსტროიმ.“ (ტაშკ.) | 2 | 15 | 19 |

„ბ“ ჯგუფი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „დინ.“ (თბილისი) | 15 | 3 | 33 |
| რტი (მინსკი) | 16 | 0 | 32 |
| „იმპულსი“ (კრასნ.) | 11 | 8 | 30 |
| „კრ. კოტ“ (ტაგანრ.) | 11 | 7 | 29 |
| ასკ (რიგა) | 11 | 7 | 29 |
| „ავტოდორ.“ (სარატ.) | 9 | 10 | 28 |
| „ლოკომ.“ (ნოვოსიბ.) | 9 | 9 | 27 |
| „შახტ.“ (ნერიუნგრი) | 7 | 11 | 25 |
| „შახტ.“ (დონეცკი) | 5 | 15 | 25 |
| „სტროიტ.“ (ირკ.) | 7 | 10 | 24 |
| „სტროიტ.“ (შ. ოლქი) | 5 | 14 | 24 |
| „დინ.“ (ფრუნზე) | 4 | 16 | 24 |

## საჭადრაკო კონტაქტები ესპანეთთან

ამ ბოლო ხანს ძალზე გაცხოველდა ქართველი მოჭადრაკეების სპორტული კონტაქტები ესპანეთთან. ესპანეთში, როგორც ცნობილია, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან უკვე რამდენიმე წელია მუშაობს დიდოსტატი თამაზ გიორგაძე. შარშან აქ რამდენიმე ტურნირში მონაწილეობდა დიდოსტატი ელიზბარ უბილავა.

ამას წინათ დიდოსტატებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ელიზბარ უბილავამ ტოლედოს საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ეს შეჯიბრება ფიდეს მეშვიდე კატეგორიას მიეკუთვნება, აქ 3 დიდოსტატი და 7 ოსტატი შეიკრიბა. 9 პარტიიდან 7,5 ქულით (6 მოგება, 3 ყაიმი) პირველ ადგილზე აზმაიფარაშვილი გავიდა, უბილავა კი მას ნახევარი ქულით (5 მოგება, 4 ყაიმი) ჩამორჩა.

ამ დღეებში პამპლონაში კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი იწყება ე. წ. შეენინგენის სისტემით საქართველოსა და ბასკეთის ნაკრებებს შორის. ამ სისტემის თავისებურება ისაა, რომ ქართველი მოჭადრაკეები ერთმანეთს არ ეთამაშებიან და ყველა ბასკებს უნდა შეხვდეს. ბრძოლაში ჩაებმებიან დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი, ელიზბარ უბილავა, გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა და საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძე.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, ქართველი მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ სან-სებასტიანის საერთაშორისო ტურნირში, შემდეგ კი აზმაიფარაშვილმა შეიძლება ბარსელონის დიდ საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშოს.

## ფუშინ...

მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა მინსკის რტი-ს, ანგარიშით 99:89 (53:55) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ძიუდოში ა. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოზარდთა საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია, საორგანიზაციო კომიტეტისა და გუნდების წარმომადგენლების მონაწილეობით, გაიმართება სპორტის სასახლეში 21 მარტს, 19 საათზე.

იქვე ჩატარდება ჟურნალისტთა აკრედიტაცია.

**სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია**

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „უკაცრავად, შეგახსენებთ!“

„ლელოს“ 1991 წლის 27 თებერვლის ნომერში თბილისის სახელმწიფო იპოდრომის შესახებ პუბლიკაციის გამო.

გაცნობებთ, რომ თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე შექმნილი მდგომარეობა საფუძვლიანად შეისწავლა კომპეტენტურმა კომისიამ, რის საფუძველზეც საქსასოფლომრეწვმა მიმდინარე წლის 1 მარტს გამოსცა ბრძანება № 12-ფ, რომლის თანახმად, იპოდრომის დირექციის დაქვემდებარებაში გადაიცა მის ტერიტორიაზე გაუმართლებლად, დირექციასთან და თვით აგრომრეწვთან შეუთანხმებლად შექმნილი 15-მდე ორგანიზაცია და კოოპერატივი, რომლებსაც არაფერი საერთო აქვთ არათუ ცხენთან და მეცხენეობასთან, არამედ საერთოდ ფიზკულტურასა და სპორტთან და ყოველნაირად ხელს უშლიან იპოდრომის მუშაობას თავის ძირითად, ცხენთგამოცდის საქმიანობაში. ამ ბრძანების შედეგად, უნდა შეწყდეს იპოდრომის ტერიტორიის შემდგომი მიტაცება-მითვისება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ და განხორციელდეს მისი გამოყენების ერთიანი პრინციპი.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, იპოდრომის ხელმძღვანელობას ევალება, გააძლიერონ და გააუმჯობესონ მუშაობა რესპუბლიკაში მეცხენეობისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებისათვის, დასახონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს იპოდრომის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას და იპოდრომს გადააქცევს ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მასობრივი დასვენების ერთ-ერთ კულტურულ ცენტრად.

**ნოდარ ჩხოლარია,**
თავმჯდომარის მოადგილე.

## ბრძოლა დამთავრდა. მოეწყობა თუ არა სასამართლო?




**მსოფლიოს** ექსჩემპიონმა კრივში, აშშ-ის წარმომადგენელმა მაიკ ტაისონმა, ლას-ვეგასში გამართული შეხვედრა მოუგო კანადელ დონოვან რუდოკს. რეფერიმ ორთაბრძოლა შეაჩერა მეშვიდე რაუნდის მესამე წუთზე, მას შემდეგ, რაც 24 წლის ამერიკელმა მარცხენა ხელით მძლავრი ჰუკით მეტოქე ბაგირზე მიანარცხა.

27 წლის რუდოკი მეორე და მესამე რაუნდებშიც ჩავარდა ნოკდაუნში. ამჯერად მან ფეხზე გაჩერება შესძლო და ყოველნაირად ცდილობდა ეგრძნობინებინა, რომ მზად იყო ბრძოლის გასაგრძელებლად. მაგრამ რინგის მსაჯი თავის სიტყვას არ გადავიდა.

კანადელი მოკრივის რამდენიმე აღშფოთებულმა გულშემატკივარმა სცადა „სამართლიანობის აღდგენა“. ისინი რინგზე გადაცვივდნენ, საიდანაც „დაუპატიჟებელი სტუმრები“ სულ ადვილად გამოყარეს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა და მცველებმა.

რუდოკის მენეჯერმა მურად მუჰამედმა მაშინვე განაცხადა, რომ მისი „გუნდი“ არ ეთანხმება რეფერის გადაწყვეტილებას და განმეორებით შეხვედრას მოითხოვს. „თუ ასე არ მოხდა, სასამართლოში ვიჩივლებთ“, — თქვა მან.

რაც შეეხება ტაისონს, მისივე თქმით, იგი უკვე შემდეგ მეტოქეზე ფიქრობს. ამჯერად ეს უნდა იყოს მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს ევანდერ ჰოლიფილდსა და თავის დროზე ამავე ტიტულის მფლობელს, 42 წლის ჯორჯ ფორმენს შორის გამარჯვებული. ჰოლიფილდ-ფორმენის მატჩი აპრილში უნდა გაიმართოს.

რედაქტორის სვეტი

## დინჯი სვლით ბარსელონისკენ

ჩვენ უკვე იმდენი რამ გადავიტანეთ და იმდენი გამოცდა გავიარეთ, ვეღარავინ დაგვაჯერებს, რომ სპორტი და პოლიტიკა თავ-თავიანთი გზით მიდიან. ეს კია, ვისაც სურს და როცა მოესურვება, იმის მიხედვით თუ რა პოზიციას იცავს, სპორტი ხან პოლიტიკის გარეშე დგას, ხან... არ დგას.ავიღოთ თუნდაც საერთაშორისო ფედერაციებში ჩვენი გაწევრიანების საკითხი.

არ გაგვკვირვებია, ანდა დღეს რა არის გასაკვირი, როცა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეა ამ დღეებში თავის სხდომაზე კიდევ ჰრიდა და კიდევ კერავდა, სპორტს გამოიცხავდა პოლიტიკისაგან და იმავდროულად ტრიბუნიდან იმუქრებოდა, არ დაგავიწყდეთ, საქმე დიდ პოლიტიკასთან გვაქვს, ამჯერად მთავარი საზრუნავი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებააო.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ საკავშირო რეფერენდუმის წინ მოიწვიეს ოკ-ის გენერალური ასამბლეის სხდომა. ასამბლეამ მიიღო მიმართვა, სადაც აშკარად წინა პლანზეა წამოწეული იმპერიის დაცვეთა, თუნდაც მიმართვის ამ ფრაზაში:

„ჩვენთვის, ინტერნაციონალისტებისთვის, ძვირფასია სამშობლოს სახელი და ღირსება და თანასწორუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკების ახალ კავშირს ალტერნატივა არა აქვს. კავშირი უნდა იყოს!“

საბჭოთა ოლიმპიური მოძრაობა იმ შენობის ერთი სვეტთაგანია, რომელიც ახლა ასე უმოწყალოდ შეირყა და ინგრევა. არმია და სპორტი! მათ თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ ორივეს იმპერიის ძლიერების ბარომეტრად მიიჩნევდნენ. ასე იყო ათწლეულობით. პანიკამ ახლა საბჭოთა ოლიმპიური მოძრაობაც მოიცვა. რესპუბლიკებთან პოლიტიკურ განხეთქილებაზე ნაკლებად როდი აშფოთებს ცენტრს სერიოზული ბზარი საბჭოთა ოლიმპიურ მოძრაობაში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია დღეს ქვეყანამ იცის. ახლა, ზემოხსენებულ ასამბლეაზე, ცენტრს ბოლო იმედიც გადაეწურა — საქართველო კვლავ რჩება თავის პოზიციაზე — სოკ-ი აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას. სხვა რა გზა იყო, საკდეს იძულებული გახდა ოფიციალურ ინფორმაციაში ეღიარებინა, რომ ასამბლეაზე: „მხოლოდ საქართველოს წარმომადგენელმა დაიკავა შეურიგებელი პოზიცია. ყველაფრიდან ჩანს, რომ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ვ. გ. სმირნოვს მოუხდება შესაშური დიპლომატიური ხელოვნება გამოიჩინოს, რათა არა მარტო საერთო ენა იპოვოს რესპუბლიკების ოლიმპიურ კომიტეტებთან, არამედ „დანაწილების“ საკითხებში კომპრომისამდეც მივიდეს“.

ასამბლეას საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ მეთვალყურის სტატუსით ესწრებოდა. ცენტრი ვერა და ვერ ურიგდება ჩვენს პოზიციას, სმირნოვი ახლა აქეთაც კი მოისწრაფვის მოსალაპარაკებლად. ასე წინდახედული ყოფილა სსრკ-ის ოკ-ის პრეზიდენტი. დღეს აღარ გვიკვირს, რატომ გვითხრა სამარანჩმა შვეიცარიაში შეხვედრისას, სმირნოვმა საქართველოში მიმიწვიაო. არც სმირნოვს და, რაღა თქმა უნდა, არც სამარანჩს სურს არ ახლევთ ოლიმპიურ მოძრაობაში შექმნილი პრობლემები, თუნდაც ერთ კონკრეტულ ქვეყანაში. ვინ არ იცის, ეს უკვე მსოფლიო რეზონანსს შეიძენს და აქაც წინა პლანზე დადგება არა სპორტი, არამედ პოლიტიკა.

საქართველო არ ჩქარობს. ჩვენ დინჯად მივდივართ წინ, მაგრამ მტერის ერთი წამითაც არ ვაშორებთ ოლიმპიურ ბარსელონას.

პიროვნება და პოზიცია

# „ოცნებას დრო გვაახლოებს“

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში — გურამ სალარაძე.



**● ბატონო გურამ, რესპუბლიკის სპორტულმა ჟურნალისტებმა შარშანდელი სპორტული სეზონის ხუთ საუკეთესო მწვრთნელს შორის დაგასახელეს. გილოცავთ ამ აღიარებას. თქვენი შეგირდი დავით გობეჯიშვილი, 1990 წლის რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენი, მართლაც ტიტულოვანი მოჭიდავეა, მაგრამ ქართველ გულშემატკივართათვის ისიც ცნობილია, რომ დათო ჯერჯერობით კვლავ „ვალშია“ ბრიუს ბაუმგარტნერთან — მათ პირად შეხვედრებში უპირატესობა ამერიკელის მხარესაა — — 8:6. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით? რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

— პირველ ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ კეთილი სიტყვებისათვის. ბაუმგარტნერზე კი, აბა რა გითხრათ... იგი მართლაც ძლიერი და ღირსეული მეტოქეა.

დათოსი არ იყოს, სპორტული კარიერის დასაწყისში არც მისი გზა იყო ია-ვარდით მოფენილი: ხასიმიკოვს და ბიგაევს დაუმარცხებიათ იგი — ისევე, როგორც ადრეულ ეტაპზე დათოს უგებდნენ ხოლმე მალხაზ მერმანიშვილი, ზაზა თურმანიძე, გია გალდავა.

ჩვენი წლევანდელი გეგმები ასეთია: დათო გამოტოვებს მსოფლიო თასს, რომელიც მარტის ბოლოს ამერიკის ქალაქ ტოლიდოში გაიმართება. მაისის დასაწყისში ისპარეზებს ევროპის პირველობაზე, სადაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ორი ღირსეული კონკურენტი ეყოლება — ევროპის ორგზის ჩემპიონი გერმანელი შრიოდერი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი ბულგარელი ბარბუტოვი. ივნისში იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გამოვა.

**● „ლელოს“ მკითხველებისთვის ცნობილია ის არაჯანსაღი ატმოსფერო, ის „კულისებს მიღმა“ ბრძოლები, საკავშირო ნაკრებში ამა თუ იმ ქართველი მოჭიდავის მოსახვედრად რომ იმართება ხოლმე. რას იტყვით ამის შესახებ, პარალელებსაც ხომ არ გაავლებდით საკუთარი სპორტული ცხოვრებიდან?**

— დიახ, საკავშირო ნაკრები სულაც არ ყალიბდება მხოლოდ სპორტული პრინციპით... მაგრამ ასე ხდება არა მარტო თავისუფალ ჭიდაობაში, არამედ სპორტის სხვა სახეობებშიც. ამასთან, ქართველების გარდა, იჩაგრებიან სხვა, არარუსი სპორტსმენებიც. ასეა ახლა და ასე იყო ჩემს დროსაც — 60-იან წლებშიც. კონკრეტული მაგალითები? — რომელი ერთი ჩამოვთვალო?! როგორც იტყვიან, დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი...

უბედურება ისაა, რომ ზოგიერთი „გადმოდგება“ საკავშირო პრესაში და აქეთ გვიკითხავს მორალს. მაგალითად, ამ ორიოდე წლის წინ „სოვეტსკი სპორტში“ შახმურადოვი, ერთობ „გულდამწვარი“ მოუთხრობდა მკითხველს ქართველ მოჭიდავეთა და მათ მწვრთნელთა „ოინებზე“. „გაღმა შეედავეო“ — ამაზე უთქვამთ.

**● თქვენი აზრით, როდიდან შეეძლება ჩვენს რესპუბლიკას საკუთარი სპორტული ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვა?**

— ამ ბოლო დროს ჩვენი სპორტული სამყარო ორ ბანაკად დაიყო: ნაწილი დაუყოვნებლივ მოითხოვს კავშირის გაწყვეტას „ცენტრთან“, ნაწილს მიაჩნია, რომ ერთი ხელის დაკვრით კი არ უნდა გაწყდეს კავშირები, არამედ ეტაპობრივად უნდა მოხდეს „ცენტრის“ მარწუხებისგან თავის დაძვრენა.

თქვენს შეკითხვას ასე გავცემდი პასუხს: ჩვენს რესპუბლიკას მხოლოდ მაშინ შეეძლება საკუთარი სპორტული ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვა, როდესად ჩვენი ეკონომიკა მინიმალურად მაინც შეძლებს სპორტსმენთა წვრთნისა და შეჯიბრებისათვის ელემენტარული პირობების შექმნას. არ უნდა დაგვავიწყდეს შეკრებების, სპორტული ფორმისა და ინვენტარის, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების და სხვა აუცილებელი ხარჯებიც, რომელთა გარეშე დამოუკიდებლობა თანამედროვე სპორტული ცხოვრებიდან გარიყვას გამოიწვევს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ჩვენმა უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებთან ერთად საჭირო და აუცილებელია სპორტისთვისაც.

**● ჭიდაობაში, ისევე როგორც სპორტის უმრავლეს სახეობაში, სპორტსმენთა მომზადების ოთხ მხარეს გამოყოფენ: ფიზიკურს, ტექნიკურს, ტაქტიკურს და ფსიქოლოგიურს. სპორტის ამ სახეობის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს, განსაკუთრებით, უფროსი თაობისას ერთგვარი „ნოსტალგია“ გაუჩნდათ ტაქტიკურ გონებამახვილობათა მიმართ. თუ შეიძლება, გაგვიზიარეთ თქვენი აზრი მოჭიდავეთა ტაქტიკური მომზადების შესახებ.**

— კარგი ტაქტიკური მომზადებით დღეს ბევრი როდი დაიკვეხნის. ასეთი მოჭიდავეები დღეს სანთლით საძებარნი გახდნენ. მაგალითად, ამერიკელი ვეტერანი დევიდ შულცი სწორედ ასეთი გამონაკლისია. იგი არ გამოირჩევა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ გააზრებული, დახვეწილი ჭიდაობით არაერთხელ გამოუწვევია ტრიბუნების აღფრთოვანებული ოვაცია. ჭიდაობის სამყაროში მას „მელას“ უწოდებენ, რადგან ზოგიერთივით თავს კი არ აკლავს ამა თუ იმ მეტოქეს, არამედ, როგორც იტყვიან, ხერხით, ჭკუით სჯობნის მათ.

საერთოდ, მოჭიდავეები და მათი მწვრთნელები, რომლებიც მაღალ სპორტულ მიღწევებზე ფიქრობენ, უსათუოდ უნდა სწავლობდნენ პოტენციურ მეტოქეთა ორთაბრძოლებს. ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა მიხეილ თიკანაძემ, რამდენადაც მახსოვს ზეპირად იცოდა ასობით მოჭიდავის „დოსიე“. ბუნებრივია, მისი ყურადღების მიღმა არც ტაქტიკური მომზადება რჩებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ქართველი მოჭიდავეები თუ ვინმეს რამეში აღემატებოდნენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ტაქტიკური მომზადების მაღალი დონით. 50-60-იან წლებში, როცა თიკანაძე საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად მუშაობდა, ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ძლიერი, თუ ყველაზე ძლიერი არა, იყო მსოფლიოში. ჩემი თაობის ფალავნებს: ვლადიმერ რუბაშვილის, ზარბეგ ბერიაშვილის, შოთა ლომიძის და სხვების კერპი კი ვახტანგ ბალავაძე გახლდათ. ათიოდე წლით ჩვენზე უფროსი, უშურველად გვიზიარებდა ყველაფერს თავისი სპორტული „ლაბორატორიიდან“ ტაქტიკური გონებამახვილობით, პატარ-პატარა „მახეების“ დაგებით, მოულოდნელი სიურპრიზებით, ძნელად რომ ვინმე გასტოლებოდა ბალავაძეს — მართლაცდა განუმეორებელი ხელწერის პატრონს.

**● ბატონო გურამ, ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში ამ ბოლო დროს იმატა სისხლის სამართლის დანაშაულისაკენ სწრაფვამ: ნარკომანიამ, ხულიგნობამ... თქვენ, როგორც მწვრთნელი, აღმზრდელი, ახალგაზრდა ვაჟის მამა — რას იტყოდით ამის შესახებ?**

— ახალგაზრდებში დანაშაულის ზრდა მრავალი სოციალური ფაქტორითაა განპირობებული. მთავარი, რასაკვირველია, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შეძლებისდაგვარად მათი აღმოფხვრაა. ეს ყოველივე მთელი საზოგადოების საზრუნავი უნდა გახდეს და არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა. ამას, სამწუხაროდ, წლების მანძილზე ვამბობთ და ვწერთ, ვწერთ და ვკითხულობთ...

ერთსაც ვიტყვი — სანამ ჩვენში პოტენციურ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებისადმი მკვეთრად უარყოფითი აზრი არ ჩამოყალიბდება, ჩვენი საშველი არ იქნება. ხაზს ვუსვამ — პოტენციურ დამნაშავეთა მიმართ!

მსოფლიოში არ მეგულება სახელმწიფო, სადაც უსაქმურებს, პარაზიტებს, ქურდებს, სპეკულიანტებს ასე შემწყნარებლურად უყურებდეს საზოგადოება, როგორც ჩვენთან, არ მეგულება სახელმწიფო, სადაც ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ასე უაზროდ და უშინაარსოდ ატარებდეს თავისუფალ დროს.

მოგეხსენებათ, ჭიდაობა ბალეტი არ არის. გაფიცხებულმა მეტოქემ ორთაბრძოლისას მეტოქეს შეიძლება ისეთი რამეც აკადროს, რასაც ჭიდაობის წესები არ ითვალისწინებს. შეჯიბრებებზე ალბათ გინახავთ ყელის, ფეხის ან თავის [illegible] ტყმა, ... როგორ [illegible] ვინ სჩადის ამას? რასაკვირველია, დაბალი კლასის მოჭიდავე. მაღალი რანგის სპორტსმენი ასეთ უზნეობას არ იკადრებს.

ასეა ცხოვრებაშიც: დამნაშავეთა სამყაროს „მოღვაწეთა“ აბსოლუტური უმრავლესობა „არასრულფასოვნების კომპლექსითაა“ დაავადებული. თავიანთი ცხოვრებისეული წარუმატებლობების, სისუსტეების მიზეზს ისინი საკუთარ თავში კი არა, სხვებში ეძებენ და სურთ მათი „დასჯით“ დააღწიონ თავი არასრულყოფილებით გამოწვეულ დეპრესიას.

ასეთი ადამიანების ლექსიკონში საერთოდ ვერ შეხვდებით სიტყვა „დათმობას“. მათ ხელეწიფებათ სიგარეტის არქონისთვისაც გაიმეტონ კაცი და შენიშვნის მიცემისთვისაც.

**● მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თვითონ როგორ ახერხებთ დათმობას?**

— იქნებ უხერხულიც კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ცხოვრებაში მართლაც ბევრისათვის დამითმია, დათმობა, საჭიროა ორივე მხარისათვის.

მერწმუნეთ, როცა ადამიანის ამა თუ იმ სისუსტეს ვხედავ, მისდამი თანაგრძნობით განვეწყობი ხოლმე. ცხადია, ვგულისხმობ წვრილმან სისუსტეებს. ვცდილობ, ამაზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, „ვერ შევამჩნიო“ ისინი. და, თუ ისეთ თავხედთან მაქვს საქმე, რომელიც ჩემს სულგრძელობას ვერ დაინახავს, ყოველთვის „ერთი-ერთზე“ ველაპარაკები და არა სხვების თანდასწრებით, რათა მისი ღირსება არ შევლახო, არ გავაბოროტო. ამასთან, ისეთ ტონს შევარჩევ ხოლმე, თითქოს ეს თავხედობა მისი ცუდი კაცობის შედეგი კი არ არის, არამედ შემთხვევითი, უნებური...

ვიმეორებ, ყურადღება პოტენციურ დამნაშავეებზე უნდა გავამახვილოთ, თადარიგი მანამდე უნდა დავიჭიროთ, სანამ კოკა გატყდებოდეს!

**● საუბრისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ბოლო შეკითხვა — რას უსურვებდით ქართველ სპორტის მოყვარულებს?**

— ჩვენი მოჭადრაკე ქალების მიღწევები საყოველთაოდაა ცნობილი. ამბობენ, რომ მოჭიდავე ვაჟებსაც არა აქვთ ცუდი შედეგები. დღემდე, მართალია, საბჭოთა იმპერიის დროშით გამოვდივართ, მაგრამ, ალბათ, მალე გვეღირსება საკუთარი ეროვნებით, ჰიმნით და დროშით ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე. ოცნებას დრო გვაახლოებს.

ვისურვებდი: გავფრთხილებოდეთ იმ ტრადიციებს, დღემდე რომ მოიტანეს ჩვენმა სპორტსმენებმა და მომავალში ერთიორად გვემრავლებინოს!

**უსაუბრა ბელა ბარაყანიძე.**
**გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული გვარდიის ფონდში.**

---

რეპლიკა

## ჩვენ მიტანჯებით, ბულალტრები კი დაგვცინიან

**ამ რამდენიმე წლის წინათ, ბელორუსიაში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრები გუნდი წავიყვანე შეჯიბრებაზე. ბილეთები მოსკოვამდე გვქონდა. ოზურგეთიდან ნატანებამდე 13 (ამდენი ვიყავით) ბილეთი ავიღეთ, ნატანებიდან მოსკოვამდე — 13, მოსკოვიდან მინსკამდე — 13, მინსკი — პოლიცკი (სადაც შეჯიბრება ტარდებოდა) კიდევ 13 — სულ 52 ბილეთი. ცხადია, ამდენივე უკან დასაბრუნებელი ე. ი. 104 სხვადასხვა ფერისა და ზომის ბილეთი, რომელთაც ბუღალტერი მთელი სამი საათი აწებებდა მუყაოს ქაღალდზე. დავუშვათ, მწვრთნელს დაეკარგა ყველა ჩამოთვლილი ბილეთი, მას ე. წ. მაგარი ვაგონით მგზავრობის საფასურს აუნაზღაურებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შორ მანძილზე ასეთი ვაგონი არ არის. ყოველივე ამის შემდეგ, ისედაც მცირეხელფასიან მწვრთნელს სამი თვე უფასოდ მოუწევდა მუშაობა. ვთქვათ, დაკარგეთ სასტუმროს ქვითარი, „მომპირნე“ ბუღალტერი მანეთს გაგინაღდებს, მანეთიანი სასტუმრო კი, იცით — ფაფუ! საკითხავია, მოეღება კი ბოლო ჩვენს ტანჯვას და დაცინვას?**

**ვალერიან შავიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

ამ თემაზე სპორტის სხვა მუშაკებიც მოგვმართავენ და გვთხოვენ განმარტებას.

შემოსული წერილები გადავეცით საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს გია ელიაშვილს.

გთავაზობთ მის კომენტარს.

სადღეისოდ რესპუბლიკაში მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 7 მაისის № 225 დადგენილება „სსრკ-ში სამსახურებრივი მივლინების შესახებ“.

თანახმად ზემოთ აღნიშნული დადგენილებისა, საცხოვრებელი ხარჯები ანაზღაურდება სათანადო ქვითრის წარმოდგენის გარეშე შემდეგი ნიხრით:

5 მანეთი — რესპუბლიკების დედაქალაქებში, მოსკოვში და ლენინგრადში;

4 მანეთი — სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში;

3 მანეთი — სხვა დასახლებულ პუნქტებში.

ახლა რაც შეეხება მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას. მისი განაღდება შეიძლება სათანადო სატრანსპორტო დოკუმენტის (ბილეთის) წარმოდგენის გარეშე, თანახმად ბილეთის ღირებულებისა დანიშნულების ადგილამდე და უკან (აეროფლოტის) და თანახმად სარკინიგზო ტრანსპორტის ბილეთების მინიმალური ღირებულებისა დანიშნულების კონკრეტულ ადგილამდე და უკან.

მივლინების ხარჯები არ ანაზღაურდება მივლინების ადგილისა და ვადის დამადასტურებელი სათანადო მივლინების მოწმობის წარმოდგენის გარეშე.

---

## ერთი პერიოდი არაა საკმარისი

**ხარკოვი.** წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის დინამოელები სამხედრო მეზღვაურებს (ცსკ სსფ) შეხვდნენ. არმიელებმა გადამწყვეტ უპირატესობას პირველ ორ პერიოდში მიაღწიეს. მესამე პერიოდი მოიგო „დინამომ“, მაგრამ მეოთხეში უპირატესობა ისევ მოსკოველთა მხარეს იყო, რომლებმაც საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 16:11 (4:1, 4:2, 2:5, 6:3). კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ლვოვის „დინამომ“. ამჯერად მან ალმაათელი თანაკლუბელები დაამარცხა, თანაც საკმაოდ დიდი ანგარიშით 13:5 (4:1, 3:0, 3:2, 3:2). უნდა ითქვას, რომ ლვოვის გუნდი ჩემპიონატის ამ ეტაპს დიდი ალმავლობით ატარებს.

მეტ-ნაკლებად დაძაბული იყო მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. მასპინძლებმა გაიმარჯვეს 16:13 (1:2 2:0, 7:5, 6:6).

---

## ხათუნა ქვრივიშვილი მეხუთე იყო

**დარბაზში** მშვილდოსნობას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ უკვე გაიმართა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი. ამ „დამფუძნებელ“ შეჯიბრებას ფინეთის ქალაქმა ოულუმ უმასპინძლა.

ქალთა შორის ოქროს მედალი ტირასპოლელმა ნატალია ვალეევამ მოიპოვა. თბილისელი ხათუნა ქვრივიშვილი მეხუთე ადგილზე გავიდა, მოსკოველი ლიუდმილა არჟანიკოვა კი მეცხრეზე.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0, (0:0).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„ქუთაისი“: თევზაძე, ხუნდაძე, (სუხიაშვილი), წივწივაძე, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, დვალიშვილი, შენგელია, ჯანაშია (ხებისკვერაძე), დარახელია, ფაიქიძე (თევზაძე).

„ამირანი“: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შიროკი, გომონოვი, ღურწკაია, ურთქმელიძე, გეთია, გუჩუა (შამუგია), პაპასკირი (ქობალია).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ზ. ჭინჭარაძე (ოზურგეთი), გ. კალანდია (ზუგდიდი).

გოლები: ჯანაშია — 2 („ქუთაისი“).

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 1:2 (0:0)

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„მერცხალი“: ზოიძე, ტულუში, მუავანაძე, ხამაშურიძე, კაშია, ჩხაიძე, წივწივაძე (სალუქვაძე), ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე, კალანდაძე (ცერცვაძე).

„სანავარდო“: თოდაძე, კოზრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დ. თვალაბეიშვილი, ლეკვეიშვილი, რუხაძე, ნოზაძე, ბრეგვაძე, დურმ. თვალაბეიშვილი, ბრეგვაძე.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, დ. თოდუა, ზ. ლაცაბიძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს გ. ვაშაკიძე („სანავარდო“).

გოლები: დურმიშხან თვალაბეიშვილი — 2 („სანავარდო“), ვ. ჩხაიძე („მერცხალი“).

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „მზიური“ (გალი) 3:0 (3:0).

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯაკაშვილი, შონია, მალანია (ჯიქია), შეროზია (ტიბუა), ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე.

„მზიური“: მაკასარაშვილი, ო. ღურწკაია, ფარფალია, დ. ღურწკაია, ხურცილავა, ქ. კვეკვესკირი, ჯლარკავა, კაკუბავა (ეთერია), ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ნ. კილაძე (ორივე — თბილისი), ი. მექურიშვილი (გურჯაანი).

გოლები: ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე („ოდიში“).

„დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:3 (0:2)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, პაპიძე (ბალაბანოვი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, მიქელაძე.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, ბოსტანჯიანი, კაციტაძე, შურღაია, ლატარია (გოგაძე), მამფორია, ბაკურაძე (ხურცილავა), თევზაძე, კაკულია, პიმუშინი, ჭიჭინაძე.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, რ. ტალიაშვილი, ო. გუნთაძე, (სამივე — თბილისი),

გააფრთხილეს: კაციტაძე, ჭიჭინაძე, („კოლხეთი“), შავდათუაშვილი („დილა“).

გოლები: ბაკურაძე, პიმუშინი — 2 („კოლხეთი“).

ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

# პენალტებმა გადაწყვიტეს

**1974-76 წლებში** ევროპის V ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 32 ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა. რვა შესარჩევ ჯგუფში გუნდები ასე განაწილდნენ: I ჯგუფი — ინგლისი, პორტუგალია, კვიპროსი, ჩეხოსლოვაკია. II ჯგუფი — უელსი, უნგრეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი. III ჯგუფი — იუგოსლავია, ჩრდ. ირლანდია, შვეცია, ნორვეგია. IV ჯგუფი — ესპანეთი, რუმინეთი, შოტლანდია, დანია. V ჯგუფი — ჰოლანდია, პოლონეთი, იტალია, ფინეთი. VI ჯგუფი — სსრკ, ირლანდია, თურქეთი, შვეიცარია. VII ჯგუფი — ბელგია, გდრ, საფრანგეთი, ისლანდია. VIII ჯგუფი — გფრ, საბერძნეთი, ბულგარეთი, მალტა.

ჩემპიონატის ჩატარების სისტემა არც ამჯერად შეცვლილა. ჯგუფში გამარჯვებული გუნდები მეოთხედფინალში მიმოსვლით არკვევდნენ ურთიერთობას. გფრ — ესპანეთი 2:0, 1:1, ჰოლანდია — ბელგია 5:0,2:1. იუგოსლავია — უელსი 2:0, 1:1, ჩეხოსლოვაკია — სსრკ 2:0, 2:2.

შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი — ნახევარფინალები და ფინალი ჩატარდა იუგოსლავიაში.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დამატებით დროში დაამარცხა ჰოლანდიელები — 3:1. თამაში ზაგრებში გაიმართა.

გფრ-ის გუნდმა ასევე დამატებით დროში ანგარიშით 4:2 სძლია იუგოსლავიის ნაკრებს. ეს მატჩი ჩატარდა ბელგრადში.

ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში ჰოლანდიელებმა დამატებით დროში დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები — 3:2.



ივო ვიქტორი

1976 წლის 20 ივნისს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში გფრ-ის ნაკრები შეხვდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს. თამაში ერთობ დაძაბულად წარიმართა, ვერც ძირითადმა დრომ, ვერც დამატებითმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, ჯერი პენალტებზე მიდგა, სადაც ფორტუნამ ჩეხოსლოვაკიელებს გაუღიმა — მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3. გფრ-ის ნაკრებმა ვერ შეინარჩუნა ტიტული, ევროპას კი ახალი ჩემპიონი მოევლინა. ფინალში გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: ჩეხოსლოვაკია — ვიქტორი, პივარნიკი, ჩაპკოვიჩი, ონდრუში, გიოგი, პანენკა, მიოდერი, დობიაში (ვესელი), მასნი, შვეგლიკი (იურკემიკი), ნეჰოდა. მწვრთნელები: ვ. ეჟეკი, ი. ვენგლოში. გფრ — მაიერი, ფოგტსი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, დიტცი, ვიმერი (ფლოჰე), ბონჰოფი, ბეერი (ბონგარდტი), ჰიონესი, დ. მიულერი, ჰიოლცენბაინი. მწვრთნელი ჰ. შიონი.

გოლები გაიტანეს: ი. შვეგლიკმა (მე-8 წთ), კ. დობიაშმა (25), დ. მიულერმა (27), დ. ჰოლცენბაინმა (90).

პენალტები გამოიყენეს: მასნიმ, ნეჰოდამ, ონდრუშმა, იურკემიკმა, პანენკამ, ბონჰოფმა, ფლოემ, ბონგარდტმა; ჰიონესმა უზუსტოდ დაარტყა.

ფინალურ მატჩს დაესწრო 62.000 მაყურებელი. თამაშს სჯიდნენ იტალიელი არბიტრები: ს. გონელა, რ. ლატანცი, დ. მანეგალი.

ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა ირლანდიელი დ. გივენსი — 8 გოლი.

**მიხეილ საგახტარიშვილი,**
**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### გარემარბი ბევრს ნიშნავს

როდესაც ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები მინდორზე გამოდის, მაყურებლები, ნებსით თუ უნებლიეთ, ყურადღებას აქცევენ ერთ მოთამაშეს. იგი სხვებისაგან გამოირჩევა თუნდაც იმით, რომ შავკანიანია. დანარჩენებისაგან სხვა თვისებებითაც გამოირჩევა: ჯონ ბარნსი მეტისმეტად სწრაფია და ორიგინალური ცრუ მოძრაობები აქვს.

ბარნსი 1963 წლის 7 ნოემბერს დაიბადა. თავდაპირველად „უოტფორდში“ თამაშობდა, რომლის პრეზიდენტი და მფარველი მსოფლიოში განთქმული საესტრადო მომღერალი ელტონ ჯონი იყო. „უოტფორდის“ სახელი კი იმ წელს ყველას პირზე ეკერა — გუნდმა ხომ ტრიუმფალური გზა გაიარა მეოთხე ლიგიდან, პირველამდე, რაც, ცხადია, დიდი სენსაცია იყო.

„უოტფორდში“ ბარნსი ზოგჯერ ცენტრალურ თავდამსხმელადაც თამაშობდა, მაგრამ თვით ფეხბურთელს მიაჩნდა, რომ ეს არ იყო მისი ამპლუა. აი, რა განაცხადა ბარნსმა: „სტარტის ალებას“ საკუთარ ნახევარზე ვამჯობინებ, ფრთაზე ეს საშუალებას მაძლევს ცრუ მოძრაობებით მეტოქის საჯარიმო მოედანზე შევაღწიო და იქ არეულობა გამოვიწვიო. არჩევანიც მაქვს: ბურთი ან ცენტრალურ თავდამსხმელს გადავცე, ან თვით დავარტყა კარში. გარემარბები მხოლოდ აძლიერებენ თავდასხმას. მე მოხარული ვარ, რომ მწვრთნელი საშუალებას მაძლევს ვითამაშო იქ, სადაც გუნდისთვის მაქსიმალური სარგებლობის მოტანა შემიძლია“.

ბარნსი უკვე რამდენიმე წელია ინგლისის ნაკრებში გამოდის. აი, რას წერდა მის შესახებ ერთ-ერთი მიმომხილველი. „ბარნსმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ფლანგების გამოყენება. საოცარი სიმსუბუქით, ცრუ მოძრაობით, იგი ფრთებზე გარღვევებს ახორციელებდა, შემდეგ კი ზუსტად აწოდებდა ცენტრში. მეტოქეთა მწვრთნელებს იგი ნამდვილ თავსატეხს უჩენდა“.

ინგლისელებთან ერთ-ერთი შეხვედრის წინ, იუგოსლავიელთა ნაკრების მწვრთნელი ივიცა ოსიმი, ცოტა არ იყოს, ზედმეტი თავდაჯერებით წერდა, ინგლისელებმა რით უნდა გამაკვირვონო. ინგლისელებმა იგი გააკვირვეს... ბარნსით, რომლის უჩვეულო მოქმედებამ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

ლონდონის გაზეთი „მორნინგ სტარი“ წერდა: „ბარნსი მსოფლიო კლასის გარემარბია, იმედია, იგი კვლავ მომხიბლავად და ძლიერად ითამაშებს“.

### ვინჩენცო შიფო — „ტორინოში“

ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელი ვინჩენცო შიფო, რომელიც ამჟამად საფრანგეთის კლუბ „ოსერის“ ღირსებას იცავს, მომავალი სეზონიდან კვლავ იტალიაში ითამაშებს.

როგორც ცნობილია, ეს პოპულარული ფეხბურთელი 1987 წელს გადავიდა ბელგიის „ანდერლეხტიდან“ იტალიის „ინტერში“, მაგრამ ამ სახელგანთქმულ კლუბში მან მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო და თავი განსაკუთრებით არაფრით გამოუჩენია, რასაც სპეციალისტები იმით ხსნიდნენ, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯერ კიდევ მოუმზადებელი აღმოჩნდა ისეთი რთული ასპარეზობისათვის, როგორიც იტალიის ჩემპიონატია. წარუმატებელი სეზონის შემდეგ „ინტერმა“ შიფო ჯერ „ბორდოს“, მერე კი „ოსერს“ გადაულოცა.



მას შემდეგ, რაც ვინჩენცომ ბრწყინვალედ ითამაშა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში, „ინტერის“ პრეზიდენტმა პელეგრინიმ გადაწყვიტა მისი დაბრუნება, თანაც, როგორც იგი ამტკიცებს, შიფო ჯერ კიდევ „ინტერის“ კუთვნილებაა, რადგან ფეხბურთელმა თავის დროზე 1994 წლამდე გააფორმა კონტრაქტი ამ კლუბთან. პელეგრინის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ეს კონტრაქტი, ფაქტობრივად, არაკანონიერია — მილანის კლუბში ხომ უკვე თამაშობს სამი უცხოელი ფეხბურთელი.

ახლა, როდესაც გაირკვა, რომ „ინტერი“ არ აპირებს თავის უცხოელ ვარსკვლავებთან გამოთხოვებას, შიფოთი დაინტერესდა „ტორინო“, მით უმეტეს, რომ ამ კლუბში გათავისუფლდა ერთი უცხოელის ადგილი. ბრაზილიელი ლუის მიულერი, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში უფერულად თამაშობდა, ამ რამდენიმე კვირის წინ კლუბიდან წავიდა და სამშობლოში დაბრუნდა.

ამჟამად „ტორინო“ ყველაზე მეტად არის დაინტერესებული შიფოს დაპატრონებით, მაგრამ მისი პრეზიდენტისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველია ვისთან უნდა აწარმოონ მოლაპარაკება ამის თაობაზე. „ინტერის“ პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ თუ ვინჩენცო „ტორინოში“ ითამაშებს, მაშინ ამ კლუბმა „ინტერს“ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რობერტო კრავერო უნდა დაუთმოს.

**მოამზადა მაია ბერაძემ.**

# ეძებენ სიახლეებს

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაცია უახლოეს ხანებში განიხილავს მატჩის შემდგომი დამატებითი 11-მეტრიანების საკითხს. ფიფა-ს განზრახული აქვს გააუქმოს დამატებითი დრო — თუკი მატჩი ფრედ დამთავრდა, უშუალოდ ძირითადი დროის შემდეგ, დამატებითი 30 წუთის გარეშე შესრულდეს 11-მეტრიანების სერია. როგორც შვეიცარიის გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტს განუცხადა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა, ეს იდეა ეკუთვნის ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის წევრს ლარს არნესონს. საკითხის დეტალური განხილვა დანიშნულია 3 მაისისთვის.

ლ. არნესონის აზრით, ბევრი მწვრთნელი მოთამაშეებს ერთადერთ ამოცანას უსახავს — დამატებით დროში შეინარჩუნონ ანგარიში და საქმე მიიყვანონ მატჩის შემდგომ დამატებით 11-მეტრიან დარტყმებამდე. მისი აზრით, პენალტებით წაგება შედარებით საპატიოა. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობაში ანგარიში იშვიათად თუ იცვლებოდა დამატებით დროში.

ი. ბლატერს არ დაუზუსტებია, რა მოხდება, თუ ფრედ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი, მაგრამ როგორც ფიფა-ს წარმომადგენელმა გვიდო ტონიონიმ განაცხადა, ფეხბურთის ბევრ ხელმძღვანელს სურს კვლავ დაწესდეს დამატებითი მატჩი მეორე დღეს.

იოზეფ ბლატერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფედერაციას განზრახული აქვს ფეხბურთი კიდევ უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახადოს „მცირეოდენი ქირურგიული ჩარევის“ დახმარებით, თამაშები უფრო დინამიურად და სწრაფად მიმდინარეობდეს, დროის გაყვანა და უხეშობა აღიკვეთოს ერთხელ და სამუდამოდ. არის წინადადებები თამაშის შეჩერების დროს გააჩერონ წამმზომიც.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელმაც მაყურებელთა გარკვეული ნაწილის გაწბილება გამოიწვია, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას უამრავი წერილი მიუვიდა, რომელთა ავტორები სთავაზობენ ფიფა-ს შეცვალოს თამაშის ზოგიერთი წესი და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის სქემა. ბევრს მიაჩნია, რომ თვით გათამაშების სისტემა (6 ჯგუფი, თითოეული 4-4 გუნდის შემადგენლობით) ხელს უწყობს პირველ ეტაპზე დაცვითი ტაქტიკის მომძლავრებას და მატჩები დაძაბულობით აღარ გამოირჩევა.

და მაინც, განაცხადა ი. ბლატერმა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატაროს ადრინდელი სისტემით. დასასრულ, ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა უარყოფითად შეაფასა საფეხბურთო კარების ზომების გაზრდის წინადადება.

### ბუენოს-აირესსა და ვარშავაში

გაიმართა ორი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში.

ბუენოს-აირესში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და მექსიკის ფეხბურთელები. მაყურებელი გაწბილებული დარჩა მასპინძელთა სუსტი თამაშით, რომელთაც ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს — 0:0.

ვარშავის „ლეგიას“ სტადიონზე პოლონეთისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაც ფრედ დასრულდა — 1:1. მე-12 წუთზე დაწინაურდნენ პოლონელები (ლეშაკი), მაგრამ პატალაინენმა სულ მალე გაათანაბრა ანგარიში.

### საკავშირო პირველობაზე

15 და 16 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „არარატი“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:2, „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „დინამო“ (მინსკი) 0:2, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 1:2, „პამირი“ (დუშანბე) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოთქმხმეტმ სპეტი

● **ლიონის** მახლობლად მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, 76 წლის რობერ ბიუსნელი, მისი მეუღლე ჟოელი და ერთი ადვოკატი, რომელიც სხვა მანქანას მართავდა. ავარია მოხდა სატვირთო მანქანის მიზეზით, რომელიც არასწორად გადავიდა ღერძულა ხაზზე. ბიუსნელი კალათბურთის დიდ სპეციალისტად ითვლებოდა. ადრე იგი თამაშობდა „მიულუზის" კლუბისა და საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. იყო ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი, 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. ნაკრებში ჩატარებული ჰქონდა (1939-1949 წლების მანძილზე) 35 შეხვედრა. 1966 წელს აირჩიეს საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ, ამ თანამდებობაზე 15 წელი დაჰყო. 1984-1990 წლებში იყო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი.

● **სტატისტიკოსთა** მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა გოლფის თამაშზე ყოველწლიურად 12,9 მილიარდ დოლარს ხარჯავს. შესაბამისად იზრდება პროფესიონალ გოლფის მოთამაშეთა შემოსავალიც. ასე მაგალითად: „პი-ჯი-ეი ტურის" შეჯიბრებების საპრიზო ფონდი 45 მილიონ დოლარს შეადგენს. ყველაზე შემოსავლიან გოლფისტთა სამეული კი გამოიყურება ასე: არნოლდ პალმერი — 12,5 მილიონი დოლარი, გრეგ ნორმანი — 10 მილიონი, ჯეკ ნიკლაუსი — 7 მილიონი.

● **მიუხედავად** იმისა, რომ გერმანიამ უარი განაცხადა მოყვარულ ველოსიპედისტთა ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებაში — მშვიდობის ველორბოლაში მონაწილეობაზე, იგი მაინც ჩატარდება: წლევანდელი, რიგით 41-ე რბოლა დაიწყება ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში (პრაღაში) 6 მაისს, „გაივლის" 1250 კილომეტრსა და დასრულდება 14 მაისს ვარშავაში.

● **მოციგურავეთა** საერთაშორისო კავშირმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან ფიგურისტები დოპინგკონტროლს გაივლიან მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ოფიციალურად აკრედიტებულ ლაბორატორიებში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კავშირმა საბჭოთა ფიგურისტთან მარინა კლიმოვასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ. მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ოლაფ პაულსენმა საბჭოთა სპორტსმენს გაუგებრობისთვის ოფიციალური ბოდიში მოუხადა.

● **ინდიანაპოლისში** 30 მარტს დაიწყება და 1 აპრილს დამთავრდება აშშ-ის სტუდენტ კალათბურთელთა გუნდების ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. სპეციალისტების აზრით, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება ნკაა-ს შარშანდელი ჩემპიონი — ლას-ვეგასის უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც მიმდინარე სეზონში ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია (30 გამარჯვება ზედიზედ). ლასვეგასის კალათბურთელებს წესით სერიოზული კონკურენცია უნდა გაუწიონ ოჰაიოს, არკანზასის, ჩრდილოეთ კაროლინასა და ინდიანას უნივერსიტეტების გუნდებმა. აი, როგორი მაჩვენებლები აქვთ ამ კოლექტივებს დღეისათვის: „ლასვეგასი" — 30 მოგება, არც ერთი დამარცხება, „ოჰაიო" — შესაბამისად 25 და 3, „არკანზასი" — 31 და 3, „კაროლინა" — 25 და 5, „ინდიანა" — 27 და 4.

● **გერმანიის** ბუნდესლიგის ჰოკეისტთა თორმეტ გუნდს სპონსორებმა დახმარების სახით სარეკორდო თანხა — 15 მილიონი მარკა გამოუყვეს. ყველაზე მეტი თანხა გაიღეს კომპიუტერების ფირმა „ეპსონმა" და კვების კონცერნმა „მარქსმა" (თითოეულმა 700 ათასი მარკა). ლუდის ფირმამ „რიგელერმა" ამ მიზნისთვის 300 ათასი მარკა გამოჰყო.

# მსოფლიო ჩემპიონი ოცნებობს „ფერარით" ასპარეზობაზე

**ქალაქ** ფენიქსში სარბოლო ტრასა არ არის. მხოლოდ სპეციალური „ოვალია" „ინდიანაპოლის 500"-ის მსგავსი შეჯიბრების ჩასატარებლად. „ლონგ ბიჩის", „დეტროიტის" და „ლოს-ანჯელესის" მსგავსად, „ფენიქსზეც" ქუჩებში ტარდება „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით ასპარეზობა.

სწორედ აქ, 10 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების „გრან პრის" გათამაშებით დაიწყო მსოფლიოს 42-ე ჩემპიონატი „ფორმულა-1" კლასის ავტომობილებით რბოლაში.

გუნდებმა საწვრთნელი შეკრებები ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დაამთავრეს.

პორტუგალიის „ეშტორილზე", ბოლო ტესტირების შემდეგ, მოეწყო პრესკონფერენცია, სადაც ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა მსოფლიოს ორგზის (1988, 1990 წ.წ.) ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ.

მან განაცხადა, რომ წელს ძალზე ძნელი იქნება ჩემპიონატის მოგება, რადგან „მაკლარენის" მთავარი კონკურენტი, „ფერარი", შარშანდელზე უფრო ძლიერად გამოიყურება. სენამ აღიარა, რომ მოეწონა იტალიური ფირმის ახალი სარბოლო ავტომობილი და სურს „ფერარის" გუნდში ასპარეზობა, თუმცა ჯერ მას ამის უფლება არა აქვს. ბრაზილიელი პილოტი იმედოვნებს, რომ ორი წლის შემდეგ იგი გააფორმებს კონტრაქტს „ფერარისთან".

ასეა თუ ისე, ფენიქსის „აისბერგზე" გამართულ საკვალიფიკაციო რბოლებში აირტონ სენამ კვლავ განაცვიფრა ყველა. „წვიმისა და საწვრთნელი რბოლების მეფემ" 53-ედ დაიკავა სტარტზე პირველი ადგილი. მეორე და მესამე შედეგი აჩვენეს „ფერარის" პილოტებმა ალენ პროსტმა და ჟან ალეზიმ.

სტარტიდან პირველი გაიჭრა წინ აირტონ სენა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ვერავინ შეუშალა მას ხელი „აისბერგზე" მეორეჯერ ემარჯვა და 27-ე „გრან პრი" მოეპოვებინა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილისთვის ბრძოლა კვლავ შარშანდელი ჩემპიონატის ლიდერების, აირტონ სენასა და ალენ პროსტს შორის გაიმართა. ბრაზილიელი ავტომრბოლი ტემპს ყოველი წრის გავლისას უმატებდა. მეტოქეს არც ფრანგი პილოტი ჩამორჩებოდა.

შეჯიბრების დროს „უილიამსის" ორმა პილოტმა ნაიჯელ მენსელმა და რიკარდო პატრეზემ ერთმანეთს ხელი შეუშალეს, რის შედეგადაც იტალიელი პილოტის ავტომობილმა გზა გადაუღობა მის უკან დიდი სისწრაფით მომავალ მეტოქეებს, რომლებმაც ძლივს აუარეს მას გვერდი, ბრაზილიელმა რობერტო მორენომ კი ეს ვერ შეძლო. დაჯახებისგან მისი „ბენეტონიც" და პატრეზეს „უილიამსიც" დაზიანდა. იტალიელმა პილოტმა მხოლოდ ამის შემდეგ „მოიფიქრა" მწყობრიდან გამოსული ავტომობილის მიტოვება.



აირტონ სენა

ბოლო წრეებს აირტონ სენა შედარებით დაბალი სიჩქარით გადიოდა და ხელაწეული ესალმებოდა ტრიბუნებზე მყოფ მრავალრიცხოვან ბრაზილიურ ტორსიდას.

ბრაზილიელმა პილოტმა დისტანცია დაფარა 2 საათში, 00 წუთსა და 47,828 წამში.

მართალია, ახალგაზრდა ფრანგი პილოტის ჟან ალეზის დებიუტი „ფერარის" საჭესთან მარცხით დამთავრდა, მაგრამ მან მაინც დაიმსახურა იტალიელი ტიფოზების პატივისცემა, რადგან ერთი წრის გავლისას სარეკორდო დრო აჩვენა — 1 წუთი და 26,758 წამი.

რბოლის საბოლოო შედეგი:

პირადი ჩათვლა: 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა") — 10 ქულა; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") — 6; 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი") — 4; 4. სტეფანო მოდენა (იტალია) — 3; 5. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია) — 2 (ორივე „ტაირელ-ჰონდა"); 6. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლოლა-ლამბორგინი") — 1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „მაკლარენი"— 10 ქულა; 2. „ფერარი"— 6; 3. „ტაირელი" — 5; 4. „ბენეტონი" — 4; 5. „ლოლა" — 1.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაიმართება 24 მარტს ბრაზილიაში, ქალაქ სან პაულოს კარლოს პაჩეს სახელობის „ინტერლაგოსის" ტრასაზე. გათამაშდება ბრაზილიის მე-19 „გრან პრი" (1973-1991 წ.წ.).



ფორმულა-1-ის ტრასაზე.

**დავით ჩუბინიძე**

# ჩემპიონობა და სამი ჯილდოც

„ხუთი ერის პირველობის" სამოცდამეორე გათამაშების დასკვნით მატჩში, 16 მარტს ინგლისის ნაკრებმა ლონდონის გარეუბან თვიქნემში საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლა. გამარჯვებული ტურნირის ჩემპიონი ხდებოდა.

ინგლისელებმა ხელიდან არ გაუშვეს „საკუთარი კედლების" უპირატესობა და, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს — 21:19 (18:9) და მეოცედ დაეუფლნენ ჩემპიონის ტიტულს, თუმცა, შეხვედრა ლელოებით წააგეს (1:3).

ეს ნაკლი გამოასწორეს ინგლისელთა დამრტყმელებმა, რომლებმაც 3 საჯარიმო (ჰოჯქინსონი) და 2 არეკნი (ენდრიუ) გაიტანეს და გაამარჯვებინეს თავიანთ გუნდს.

ფრანგებმა კი სამი ლელო კონტრშეტევებით გაიტანეს (სენტრანდრე, კამბერაბერო, მენელი) ჩვეული სტილით — ბურთის ხელით გათამაშებით და ფეხით შეგორებით. კამბერაბერომ საჯარიმოც გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

სტუმრებს შეეძლოთ კიდეც გამარჯვება: მატჩის ბოლო წუთზე ინგლისელ ჰოჯქინსონს კარის გასწვრივ დანიშნული საჯარიმო გაუცუდდა. ფრანგებმა ხელთ იგდეს ბურთი, კონტრშეტევა წამოიწყეს, მეტოქის ლელოსაც მიუახლოვდნენ და კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა, მსაჯს თამაში რომ არ დაემთავრებინა...

ამ გამარჯვებით ინგლისელებმა ჩემპიონობის გარდა, კიდევ სამი სიმბოლური ჯილდო მოიპოვეს: „დიდი სლემი" (ყველა მეტოქესთან გამარჯვებისთვის), „სამგზის გვირგვინი" (სამივე ბრიტანული გუნდის დამარცხებისთვის) და „კალკუტის თასი" (შოტლანდიელთა დამარცხებისთვის), რითაც გაიმეორეს შოტლანდიელთა შარშანდელი მიღწევა, რომლებმაც ბოლო ტურში შინ ირლანდიელთა დამარცხებით — 28:25 — მესამე ადგილი გაინაღდეს.

საბოლოოდ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 4 |
| ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 1 |
| უელსი | 4 | 0 | 1 | 3 | 1 |

(საქ. ინფ.).

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-10 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 1.226.876 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამიტომ ამ ჯგუფის მოსაგები ფონდი 9.202 მანეთის ოდენობით დაემატება 11-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგება 4.169 მანეთია, ოთხისთვის (1.862) — 115.

საქართველოში: დაშვებულია 37.884 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—92.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 18.457.123 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 20.000 მანეთია, ოთხისთვის (6.002) — 162, სამისთვის (208.869) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 459.130 ვარიანტი. 5—0, 4—149, 3—5.258.

მე-10 და 1-10 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 30 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით.

## კალეიდოსკოპი

### კორეის ერთიანი გუნდი

როგორც სეულში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სამხრეთ კორეის სპორტის მინისტრმა ჩენ დონ-სუნმა განაცხადა, მიღწეულია საბოლოო შეთანხმება მისი ქვეყნისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს შორის ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადაზე ერთიანი გუნდით გამოსვლის თაობაზე.

ერთიანი გუნდი ოლიმპიადაზე კორეის ნაკრების სახელით გამოვა.

### 67 მილიონი მარკა

გერმანული პრესა იუწყება, რომ, თუ ბერლინმა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების გამართვის უფლება მიიღო, მას ასპარეზობის მოწყობა 67 მილიონი მარკა დაუჯდება.

ერთ-ერთმა ფუნქციონერმა იურგენ კისლინგმა განაცხადა, რომ მას შეუძლია ახლავე დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა 100 ათასი მარკით, სულ ცოტა ხანში არაერთი სპონსორიც შეუერთდება და უკვე 1993 წლისათვის ყველა სპორტული ობიექტი მზად იქნება.

### „ჭადრაკი ჭადრაკია"

ასე ჰქვია დიდოსტატ ალექსანდრ მატანოვიჩის ახალ წიგნს, რომელიც ბელგრადის გამომცემლობა „სპორტსკა კნიგამ" გამოსცა. იგი შედგება მეტად საინტერესო რეპორტაჟებისაგან, რომლებიც იუგოსლაველმა დიდოსტატმა სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას მიუძღვნა.

ავტორმა გაარჩია ბოლო წლებში საერთაშორისო ჟიურის მიერ დაჯილდოებული 44-ივე საუკეთესო პარტია; მატანოვიჩი იგონებს თავის შეხვედრებს ბოტვინიკთან, პეტროსიანთან, სპასკისთან, ფიშერთან და სხვებთან.

### ბეკერი ნაკრებს დაუბრუნდა

გერმანიის უძლიერესი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი ყოველგვარი საბაბით თავს არიდებდა ეროვნულ ნაკრებში გამოსვლას. ახლა მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ განთქმული ოსტატი ამიერიდან სისტემატურად დაიცავს ნაკრების ღირსებას, პირველ ყოვლისა, კი, დევისის თასზე.

## კალეიდოსკოპი

### „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა საყურადღებოდ!

**როგორც** ცნობილი გახდა, საფეხბურთო მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა" და ცსკა-ს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაიმართება ცსკა-ს სპორტულ მანეჟში.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „სპორტპროგნოზის" მეთორმეტე ტირაჟში, სადაც ამ გუნდების შეხვედრა მესამე წყვილად არის დასახელებული, მატჩის შედეგი განისაზღვრება ტირაჟის პროგრამის მიხედვით, ე. ი. გუნდების რიგითობა პროგრამაში არ იცვლება, „ლოკომოტივი" კვლავ მასპინძელ გუნდად ითვლება, რადგანაც მატჩის ჩატარების ადგილად ითვლება ქალაქი და არა სტადიონი.

„საქსპორტლოტო"

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხაზდენი — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი" — 93-97-26, „მარაჯი" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხაზარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20